



**1. ზოგადი ხედვა:** რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ყველაზე დიდ ამოცანად?

ქვეყნის პოლიტიკური დეოლიგარქიზაცია.

**2. განათლება:** როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?

ყველა საფეხურის განათლება უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გერმანულ-ავსტრიული მოდელის მიხედვით.

**3. გადასახადები:** თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს საშემოსავლო გადასახადი?

საქართველოში უნდა დაწესდეს სიმდიდრის გადასახადი, ფრანგული მოდელის შესაბამისად.

**4. ეკონომიკა:** როგორია თქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?

ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა და ინვესტორებისთვის მისაღები პირობების შექმნა.

**5. დასაქმება:** თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?

საშუალო და წვრილი ბიზნესის მაქსიმალური ხელშეწყობა.

**6. ჯანდაცვა:** რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს, რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

**7. სოციალური უსაფრთხოება:** რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?

სოციალური სამართლისა და თანასწორობის პოლიტიკა, სიმდიდრის თანაბარი განაწილებით.

**8. ნარკოპოლიტიკა:** ქვეყანაში მნიშვნელოვანი დისკუსია მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა. როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხზე?

ნარკოტიკის მოხმარება არ უნდა იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ამავდროულად, დაუშვებელია ნარკოპროპაგანდა და ის სრული თავისუფლება ამ სფეროში, რომელიც დღეს დამყარდა.

**9. ადგილობრივი თვითმმართველობა:** თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?

ადგილობრივ თვითმმართველობებში, საკრებულოებში უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა და მხოლოდ პარტიული სიებით უნდა ტარდებოდეს არჩევნები.



**10. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?**

ოკუპაციისა და ქართველთა გენოციდის მხილება საერთაშორისო ასპარეზზე.

**11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.**

პოლიტიკაში თანაბრად უნდა მონაწილეობდნენ ქალებიც და კაცებიც, ვისაც სურვილი და მიდრეკილება აქვს ამ სფეროსკენ

**12. ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები: როგორია თქვენი ხედვა ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციის თაობაზე?**

ყველა რელიგიური და ეროვნული უმცირესობა თანასწორია კანონის წინაშე და მათი უფლებები ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც უმრავლესობის.

**13. სექსუალურ უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?**

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სექსუალური ორიენტაცია არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს და მათ მიმართ უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ძალადობა, იმავდროულად, ერთსქესიანთა ქორწინების რეგისტრაცია მიმაჩნია დაუშვებლად.

**14. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომელიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.**

დეოლიგარქიზაციაა პირველი გარანტი, რომ საქართველოში არ გაიჩნება ტყეები, არ შემოვა ტყვიის შემცველობის საწვავი, არ მოხდება წიაღისეულის მოპოვება ღია, დამანგრეველი მეთოდით.

**15. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებას ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

მთავარ სტრატეგიულ-სამხედრო პარტნიორად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებული შტატები და რა თქმა უნდა, ნატოსთან იმ ფორმატით თანამშრომლობა, რაც ამ ეტაპზე შესაძლებელია.

**16. საქართველო და ევროკავშირი: (თუკი ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა) თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საქართველოს შემდეგი ნაბიჯი ან დიპლომატიური ინიციატივა ევროინტეგრაციის გზაზე?**

საქართველომ ოფიციალურად უნდა მოითხოვოს ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარება



**17. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

საქართველო უნდა გადაიქცეს ამ რეგიონის კულტურულ, საერთაშორისო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ცენტრად.

**18. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?**

უნდა არსებობდეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

**19. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?**

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულების გაფორმება.